USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

,,ელექტრონული ჯანდაცვა“

ელექტრონული რეცეპტის მოდული

მომხმარებლის სახელმძღვანელო სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებისათვის

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა

თებერვალი

2014

სარჩევი

შესავალი 3
1. მომხმარებლისავტორიზაცია 3
2. ნავიგაციის პანელი 5
3. რეცეპტის გაცემა 7
4. რეცეპტების სია 15

შესავალი

ელექტრონული რეცეპტის მოდული წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ნაწილს, რომლის ამოცანაა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებებისათვის მატერიალიზებული ვაუჩერის (ე.წ. რეცეპტის) გენერირება.

ელექტრონული რეცეპტის მოდული განთავსებულია „ელექტრონული ჯანდაცვის“ პორტალზე ფარმაცევტული საქმიანობის კატეგორიაში შემდეგ მისამართზე: ehealth.moh.gov.ge /prescription.moh.gov.ge

1. მომხმარებლისავტორიზაცია

ელექტრონული რეცეპტის მოდულში შესასვლელად, მომხმარებელი უნდა შევიდეს ექიმთათვის განკუთვნილ სივრცეში (ნახ. 1) და გაიაროს ავტორიზაცია დაწესებულებისათვის წინასწარ მინიჭებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით. მიუთითეთ მომხმარებლის სახელი, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ (ნახ.1.1).

ნახატი 1

ნახატი 1.1



ავტორიზაციის გავლის შემდეგ, გადავდივართ გვერდზე სადაც მოთავსებულია ყველა ის მოდული, რომლებზედაც აქვს დაშვება სისტემაში შესულ მომხმარებელს (ნახ. 1.1).

ნახატი 1.1



მომხმარებელს აქვს საშუალება შეცვალოს პაროლი, რისთვისაც იგი გადის შემდეგ გზას:

ღილაკზე დაჭერით იხსნება პაროლის შეცვლის ფანჯარა. ახალი პაროლის შეყვანისას უნდა მიეთითოს მიმდინარე პაროლი და შემდეგ ახალი პაროლი, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთ ასოს (რეკომენდებულია პაროლის შეტანა

ლათინური ასოებით). შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ კვლავ გაიმეოროთ ახალი პაროლი.

„შეცვლა“ ღილაკით კი ცვლილება აისახება სისტემაში (ნახ. 1.2).

ნახატი 1.2



„ელექტრონული რეცეპტის მოდული“-ს ბლოკზე დაჭერით გადავდივართ ელექტრონული რეცეპტის მოდულზე (ნახ. 1.1).

2. ნავიგაციის პანელი

მოდულში შესვლისას მომხმარებელმა უნდა მიუთითოს მისი პირადი ნომერი „პასუხისმგებელი პირის პირადი ნომრის“ გრაფაში, დააჭიროს სინქრონიზაციის ღილაკს - (პიროვნების სახელი, გვარი და ფოტოსურათი ავტომატურად გამოჩნდება პირადი ნომრის სინქრონიზაციის შემდგომ) და „შენახვა“ ღილაკით შეინახოს ინფორმაცია სისტემაში მომუშავე პასუხისმგებელი პირის შესახებ (ნახ. 2).

ნახატი 2



ნავიგაციის პანელში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია (ნახ.3).

ნახატი 3

- **რეცეპტების სია** - დაწესებულების/ექიმის მიერ ყველა პაციენტისთვის გამოწერილი რეცეპტების სია/არქივი. ამავე გვერდიდან არის შესაძლებელი რეცეპტის დაბეჭდვა (იხილეთ ქვემოთ).
- **რეცეპტის გაცემა** - დაწესებულების/ექიმის მიერ კონკრეტული პაციენტის იდენტიფიცირების და რეცეპტის გამოწერის გვერდი
- **დახმარება** - სამომხმარებლო დოკუმენტაციისა და ვიდეო გაკვეთილის ჩამოტვირთვის სივრცე

3. რეცეპტის გაცემა

ნავიგაციის პანელში „რეცეპტის გაცემა“ ბმულზე დაჭერის შემდგომ ეკრანზე გამოდის პაციენტის იდენტიფიცირების, რეცეპტის გამოწერის და კონკრეტულ პაციენტზე გამოწერილი რეცეპტების სიის გვერდი (ნახ. 4).

ნახატი 4



რეცეპტის გამოწერამდე, აუცილებელია მოხდეს პაციენტის იდენტიფიცირება მისი პირადი ნომრის ჩაწერით „პირადი ნომრის“ ველში. ხოლო, ღილაკის გამოყენებით პიროვნების ფოტოსურათის, სახელის, გვარის, სქესის, დაბადების თარიღის, ასაკის, მოქალაქეობის, იურიდიული მისამართის, დაზღვევისა (სადაზღვევო კომპანიის დასახელება, პროგრამის დასახელება, პოლისის ვადა და სტატუსი „ვეტერანი“) და

მომსახურებით სარგებლობის მომენტისთვის არსებული ლიმიტის ველები სისტემის მიერ შეივსება ავტომატურად (ნახ. 5).

ნახატი 5



რეცეპტის დამატება შესაძლებელია ღილაკი „რეცეპტის გაცემა“-ს ჩამოშლით (ნახ. 4). რეცეპრის გაცემისას პროგრამისა და რეცეპტის ვადის გრაფები ივსება ავტომატურად. მომხმარებელმა ასევე, ჩამოსაშლელი მენიუს საშუალებით უნდა შეავსოს კომპონენტის და ქვეკომპონენტის ველები. ხოლო, რაც შეეხება მოთხოვნის ნომერს, მისი შევსება სავალდებულოა ონკოლოგიური მედიკამენტების გამოწერის შემთხვევაში, რისთვისაც მომხმარებელმა უნდა ჩაწეროს მიმართვების ადმინისტრირების მოდულში ამ კონკრეტულ პაციენტზე დარეგისტრირებული მოთხოვნის ნომერი და სინქრონიზაციის ღილაკის ( ) საშუალებით შეამოწმოს მისი სისწორე. სინქრონიზაციის ღილაკის გამოყენებისას, ავტომატურად ივსება პაციენტის ტელეფონის ნომერიც.

მომხმარებელმა, პირველ რიგში, უნდა დაარეგისტრიროს დიაგნოზი ღილაკით 

(ნახ. 7), რომლის გამოყენების შემდეგ ეკრანზე გამოდის დამატებითი ფანჯარა სადაც ხდება სასურველი დიაგნოზის არჩევა საძიებო ველში შესაბამისი დასახლების ან ICD10 კოდის მითითებით (საკმარისია ერთი სიმბოლოს ჩაწერა). „ძებნა“ ღილაკის გამოყენებით, ცხრილში გამოდის საძიებო დასახელების/ICD10 კოდის მიხედვით მოძიებული დიაგმოზების სია, რომლიდანაც ხდება სასურველი დიაგნოზის მონიშვნა და „არჩევა“ ღილაკით მისი დამატება მიმდინარე რეცეპტზე (ნახ. 6).

ნახატი 6



დამატებული დიაგნოზი აისახება რეცეპტის გაცემის გვერდზე არსებული რეცეპტების ცხრილში (ნახ. 7).

ნახატი 7



შესაძლებელია რეცეპს დაემატოს რამოდენიმე დიაგნოზი „მიუთითეთ დიაგნოზი“-ს ღილაკის ხელახლა გამოყენებით ან დიაგნოზი წაიშალოს ღილაკით - .

წამლის გამოწერა შესაძლებელია დარეგისტრირებულ დიაგნოზზე არსებული ღილაკით - (ნახ. 7), სადაც ეკრანზე გამოსულ დამატებით ფანჯარაში მომხმარებელი უთითებს მისთვის სასურველ მედიკამენტს. მედიკამენტის მოძიება შესაძლებელია გენერიული დასახელების, სავაჭრო დასახელების ან/და მწარმოებლის მიხედვით. „ძებნა“ ღილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოდის მედიკამენტების სია, რომლიდანაც მომხმარებელმა უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი წამალი ღილაკით - (ნახ. 8), მიუთითოს რაოდენობა (მკურნალი ექიმის მიერ ერთი დანიშნულებით განსაზღვრული თითოეული მედიკამენტის ჯამური რაოდენობა), მიღების რეჟიმი (ტექსტურად) და გამოთვალოს სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხის და პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა ღილაკით

(ნახ. 9). დიაგნოზის, მედიკალემტის ლიმიტის, წამლის ფორმისა და თანაგადახდის პროცენტის ველები სისტემის მიერ ივსება ავტომატურად. ღილაკით „შენახვა“ არჩეული წამალი დარეგისტრირდება კონკრეტული დიაგნოზისთვის.

ნახატი 8



ნახატი 9

დარეგისტრირებული წამალი გამოჩნდება დიაგნოზის ქვემოთ არსებულ გრაფაში (ჩამოსაშლელი ღილაკის საშუალებით -), რომელიც შეიცავს ინფორმაციას სააფთიაქო ქსელის, წამლის რეკვიზიტებისა და პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის შესახებ (ნახ. 10).

ნახატი 10


ბაზისური მედიკამენტები
რეცეპტის გაცემა
პროგრამა
მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა
კომპონენტი
საყოველთაო ჯანდაცვა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის, პედაგოგებისთვის, სახალხო არტისტებისთვის და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის (N218 დადგენილება)
ქვეკომპონენტი
სამკურნალო საშუალებები
რეცეპტის ვადა
18.10.2013
მიუთითეთ დიაგნოზი
წამლის დამატება
წაშლა
დიაგნოზი (ქართ. დასახელება)
ამოკვეთა/ქსოვილის ამოღება/ბიოფსია/დესტრუქცია/მოცილება (მოწვა
წაშლა
ქსელი
მწარმოებელი
ერთეულის ფასი
GeoNdc
სავაჭრო დასახელება (ქართ)
"ეი-ბი-სი"
EBEWE Pharma Ges.m.b.H. Nfg.KG ~Austria
#რ-000549
მეტოტრექსატი - ებევე
1 გვერდი 1-დან (სულ 1)
[1]
1 გვერდი 1-დან (სულ 1)
[1]
დამტკიცება
რეცეპტების სია

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთი რეცეპტის ფარგლებში მომხმარებელს შეუძლია გამოწეროს მხოლოდ ერთიდაიგივე სააფთიაქო ქსელის წამალი.

რამოდენიმე წამლის დამატება ერთი დიაგნოზის ფარგლებში შესაძლებელია „დამატება“ ღილაკის ხელახლა გამოყენებით (ნახ. 7), ხოლო დამატებული წამლის წაშლა - ღილაკით .

დიაგნოზ(ებ)ისა და წამლ(ებ)ის დარეგისტრირებისა და გადამოწმების შემდეგ, აუცილებელია, რომ მომხმარებელმა შეინახოს ზემოთ შევსებული ინფორმაცია ღილაკით „დამტკიცება“ (დამტკიცება), რაც ასევე გულისხმობს გამოწერილი დიაგნოზის გადაგზავნას რეცეპტში აღნიშნულ ფარმაცევტულ ქსელში. რეცეპტის დამტკიცების შემდეგ მისი რედაქტირება დაუშვებელია.

რეცეპტის სისტემაში დამატების/გამოწერის შემდგომ „რეცეპტების სიის“ ველის ჩამოშლისას (ნახ. 4) გამოჩნდება კონკრეტულ პაციენტზე გამოწერილი ყველა რეცეპტი პაციენტის პირადი ინფორმაციითა და რეცეპტის ყველა რეკვიზიტით (ნახ. 11).

ნახატი 11



4. რეცეპტების სია

მომხმარებელს აქვს საშუალება მოძებნოს ბაზაში დარეგისტრირებული რეცეპტები ნავიგაციის პანელში არსებული ველის -

გამოყენებით. რეცეპტის ძებნა შესაძლებელია რამოდენიმე კრიტერიუმით (ღილაკი

ჩამოშლით): პაციენტის პირადი ნომრის, სახელის, გვარის, რეცეპტის გამომწერის სახელის, რეცეპტის გამომწერის გვარის, რეცეპტის ნომრისა და რეცეპტის გაცემის სტატუსის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა არ გამოიყენა რომელიმე საძიებო ფილტრი, რეცეპტების სიაში გამოვა სისტემაში დარეგისტრირებული ყველა რეცეპტი (ნახ. 12)

ნახატი 12



წაშლა	რეცეპტის ვადის შეცვლა	ნახვა	ბეჭდვა	შეტყობინების გაგზავნა	შეტყობინების სტატუსი	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	დაბ. თარიღი	რეცეპტის N	შექმნის თარიღი	ვადა	
					მისულია				11.02.1954	24368925	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					მისულია				12.04.1940	74079289	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					მისულია				01.01.1961	16278043	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					არ არის გაგზავნილი				16.04.1940	27723040	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					მისულია				30.07.1964	23558562	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					არ არის გაგზავნილი				06.04.1941	30038465	26.02.2014	08.03.2014	ონკ პრ
					არ არის გაგზავნილი				19.07.1978	32729998	19.08.2013	30.08.2013	ონკ პრ
					არ არის გაგზავნილი				13.03.1970	13356820	19.08.2013	30.08.2013	ონკ პრ

რეცეპტების სიაში არსებული ჩანაწერები შეფერილია ცისფრად, ვარდისფრად და თეთრად, რაც გულისხმობს: ცისფერი - აქტიური ჩანაწერი, რომლის ვადაც არ არის გასული, ვარდისფერი - ყველა ის ჩანაწერი, რომელიც ამობეჭდილია ერთხელ მაინც და თეთრი - ვადაგასული რეცეპტი.

რეცეპტის წინ არსებული ღილაკებით შესაძლებელია:

- რეცეპტის წაშლა (რეცეპტის წაშლა შესაძლებელია მხოლოდ აფთიაქის მიერ რეცეპტის გაცემამდე. შეუძლებელია სხვა მომხმარებლის მიერ დარეგისტრირებული რეცეპტის წაშლა)

- რეცეპტის ვადის შეცვლა (ვადის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ აფთიაქის მიერ რეცეპტის გაცემამდე)

- რეცეპტის დეტალური დათვალიერება

- რეცეპტის ბეჭდვა (ნახ. 13)

- შეტყობინების გადაგზავნა (პაციენტის ინფორმირება რეცეპტის დეტალების თაობაზე მოკლედ ტექსტური შეტყობინების საშუალებით, შეტყობინების სტატუსი კი აისახება იმავე ცხრილში „შეტყობინების სტატუსი“-ს სვეტში. იხ. ნახ. 12)

ნახატი 13

ელექტრონული რეცეპტი

N 49245271

17.09.2013

პაციენტი

პირადი N

სახელი

გვარი

ასაკი

სქესი

დაბ.თარიღი

მისამართი

რეცეპტის გამცემი ორგანიზაცია

პროგრამის დასახელება — მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

კომპონენტის დასახელება — საყოველთაო ჯანდაცვა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის, მედიკოგენებისთვის, სახალხო არტისტებისთვის და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის (N218 დადგენილება)

ქვეკომპონენტის დასახელება — სამკურნალო სამეცადინეში

რეცეპტის გამცემი ორგანიზაცია

რეცეპტის გამცემი პირი

სახელი, გვარი — თამთა ბაბუარიძე

ცხრილი

მედიკამენტი	რეგისტრაციის N	დოზა	მიღების რეჟიმი	ერთეულის რაოდენობა	ინფიციქის ერთეულის ფასი	ჯამური თანხა	სახელმწ. მიერ ანაზღაურებული თანხა	პაციენტის მიერ ანაზღაურებული თანხა	გაცემულია
Epivubicin (ფარმორუბიცინი ⁄ სტრეპტოდაზონი)	ФР-002739	50 მგ	2jor jamis cin	1	96,3	96,3	48,15	48,15	.....

სულ ჯამური თანხა	
სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული თანხა	48,15 ლარი
პაციენტის მიერ ანაზღაურებული თანხა	48,15 ლარი
ჯამური თანხა	96,3 ლარი

გამცემი ორგანიზაცია

საიდენტ. კოდი — 204927767

ორგანიზაციის დასახელება — "უნ-მიანი"

რეცეპტის მოქმედების ვადა — 17.10.2013

გამოწერის თარიღი — 17.09.2013

ორგანიზაცია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა — .....

ბეჭდვა

რეცეპტის ამობეჭდვის შემდეგ (რეკომენდირებულია ერთი რეცეპტის ორჯერ ამობეჭდვა: ერთი - პაციენტისთვის, მეორე - პაციენტისთვის სააფთიაქო ქსელში წარსადგენად) რეცეპტი უნდა იქნას დამოწმებული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და მკურნალი ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით.